მორალური მსოფლმხედველობა და საკლასო ოთახი:

როგორ ჩაუყარა 2017 წლის შეხვედრამ საფუძველი პროექტ PROVE-ს

თამარ მოსიაშვილი

მაისი, 2026

განათლების ექსპერტი თამარ მოსიაშვილი საქართველოში საკლასო სწავლების ინოვაციის, პედაგოგიკისა და განათლების რეფორმის დანერგვის მიმართულებით უკვე არაერთი წელია მოღვაწეობს. იგი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი და ინოვაციური განათლების კვლევითი ცენტრის (IERC) მკვლევარი. ქალბატონო თამარი სკოლის ყოფილი მასწავლებელია, რის გამოც თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ღირებულებებზე დაფუძნებულ განათლებას, მშვიდობაზე ორიენტირებულ პედაგოგიკას და აბსტრაქტული საგანმანათლებლო ჩარჩოების პრაქტიკულ საკლასო სტრატეგიებად გარდაქმნას. ამჟამად იგი აქტიურად მონაწილეობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში პროექტ PROVE-ის განხორციელებაში.

როდესაც XX საუკუნის მიწურულს საქართველოში ინოვაციური სწავლების მეთოდოლოგიების შესწავლა დავიწყე, მივხვდი, რომ განათლების რეფორმა მუდმივი ადაპტაციის პროცესია. წლების განმავლობაში ჩემი პროფესიული საქმიანობა განათლების ეკოსისტემის სხვადასხვა დონეზე მიმდინარეობდა - ვსწავლობდი მაკროდონეს - საერთაშორისო ორგანიზაციების სტრატეგიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ადგილობრივ ინიციატივებს; ასევე ვიკვლევდი უნივერსიტეტის აუდიტორიებში მიმდინარე სალექციო პროცესს. თუმცა, ჩემთვის ნებისმიერ გარემოში საკვანძოდ და არსებითად ყოფილი სკოლის მასწავლებლის ხედვა რჩებოდა, რამეთუ დიდი საგანმანათლებლო თეორიები საბოლოოდ სწორედ საკლასო ოთახის მიკროდინამიკაში გამოიცდება.

წლების განმავლობაში მე, როგორც პედაგოგი, ერთგვარი სკეპტიციზმით ვუქცერდი ლოურენს კოლბერგის მორალური განვითარების საფეხურებს (stages of moral development). აკადემიური თვალსაზრისით ეს ჩარჩო ბრწყინვალედ გამოიყურება; შთამბეჭდავად წარმოგვიდგენს,

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

როგორ ვითარდება და ყალიბდება ადამიანის მორალური განსჯისა და მსჯელობის უნარი. თუმცა, როგორც პედაგოგს, რომელიც ამ თეორიის ყოველდღიურ პრაქტიკაში დანერგვას ცდილობდა, მისი განხორციელება რთულად მეჩვენებოდა. თავად თეორიას შესანიშნავი კონცეპტუალური მიზანი აქვს, რეალურ გზამკვლევში კი გარკვეული ნაპრალი შეინიშნება. როგორ განვავითაროთ მიზანმიმართულად მორალური მსჯელობა ისე, რომ აკადემიური სასწავლო გეგმა არ დავაზიანოთ? დიდი ხნის განმავლობაში მისი პრაქტიკაში გამოყენება ბუნდოვნად, თეორიულად და სტანდარტული საგაკვეთილო პროცესისა და მისი გეგმისგან მოწყვეტილად მეჩვენებოდა.

2016 წელს დაკარგული რგოლი მოულოდნელად გამოჩნდა. საერთაშორისო CURE პროექტზე მუშაობისას ზალცბურგის უნივერსიტეტის (ავსტრია) განათლების ემერიტუს პროფესორი, ევროპულ პედაგოგიკაში ღირებულებებისა და ცოდნის ინტეგრაციის ერთ-ერთი პიონერი **ჟან-ლუკ პატრი** გავიცანი. სამუშაო შეხვედრებზე მან წარმოგვიდგინა ჩარჩო, რომელმაც არსებული სიცარიელე უმალ შეავსო: VaKE მოდელი - Values and Knowledge Education, ანუ ღირებულებებსა და ცოდნაზე დაფუძნებული განათლება.

VaKE-ის გაცნობა ჩემს პროფესიულ საქმიანობაში ნამდვილ „ევრიკა!“ მომენტად იქცა. პატრის მოდელი ჩინებულად პასუხობს პედაგოგიკაში არსებულ კლასიკურ დიქოტომიას: ცრუ არჩევანს მყარი ცოდნის გადაცემასა და ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას შორის. VaKE მოდელი ამ დიქოტომიას არ ცნობს; ის სტრუქტურირებულ, პრაქტიკულად განხორციელებად მეთოდოლოგიას გვთავაზობს, რომლის ფარგლებშიც მოწაფეები შინაარსობრივ ცოდნას მორალური დილემების განხილვის გზით იძენენ. სწორედ ამ პრაქტიკულ ხიდს ვეძიებდი დიდი ხნის განმავლობაში - მიდგომას, რომელიც სტუდენტებს კომპლექსურ აკადემიურ ინფორმაციაზე მუშაობისა და, ამავდროულად, ეთიკური საკითხების ირგვლივ მსჯელობის უნარის განვითარებისა და ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევს.

პატარა ნაპერწკლიდან ტრანსნაციონალურ ქსელამდე

Erasmus+ პროგრამის მსგავსი საერთაშორისო ინიციატივების რეალური ძალა მათი ხანგრძლივ გავლენაა. ეს პროექტები კონკრეტული ვადებით არ შემოიფარგლება; ისინი აკადემიური ურთიერთობებისა და სისტემური ტრანსფორმაციის ერთგვარი ინკუბატორებია, რომლებიც რაღაც ნიშნულის მიღწევის შემდეგ არ წყდება - ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

გრძელდება. Erasmus+ მხოლოდ ინსტიტუციურ კავშირებს არ აძლიერებს და არც მხოლოდ დაუყოვნებელ ცვლილებებს აძლევს ბიძგს - ის ახალ იდეებს ბადებს, რომლებიც თანდათანობით დამოუკიდებელ სიცოცხლეს იძენენ და საბოლოოდ საფუძველს სრულიად ახალ პროექტებს უყრიან.

ასე მოხდა ჩვენს შემთხვევაშიც. პროექტი CURE-ის ფორმალური ციკლის დასრულების შემდეგ, მე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა ეკატერინე შავერდაშვილმა და მაგდა გოგრიჭიანმა და პროფესორმა ჟან-ლუკ პატრიმ თანამშრომლობა განვაგრძეთ და გავაღრმავეთ.

VaKE მოდელის ეფექტიანობისა ყველას გვწამდა, ამიტომ წლების განმავლობაში დაუღალავად ვშრომობდით და ამ ხედვის გაფართოებასა და მის სამხრეთ კავკასიაში დანერგვას ვცდილობდით. პროფესორი პატრი ჩვენი საერთო მიზნის ერთგული გახლდათ; იმაზე მეტად დაგვიდგა გვერდში, ვიდრე სტანდარტული აკადემიური თანამშრომლობა ითვალისწინებს ხოლმე. განათლების რეფორმისადმი განსაკუთრებული თავდადების ნიშნად იგი საქართველოში მოხალისედ ჩამობრძანდა, სადაც წმინდა აკადემიური სივრცის ფარგლებს გასცდა და უშუალოდ შეხვდა სკოლის მასწავლებლებს - ადამიანებს, რომლებიც, როგორც წესი, საკლასო ინოვაციების წინა ხაზზე დგანან.

თუმცა საერთო ხედვა სტრუქტურირებულ, ფართომასშტაბიან რეალობად ერთ ღამეში არ იქცევა. პროექტი PROVE-ის სრულად ამოქმედებას წინ უძღოდა ხანგრძლივი, ინტენსიური მოსამზადებელი პერიოდი და კონცეპტუალურ ჩარჩოზე სერიოზული მუშაობა. ამ ეტაპზე უამრავი ონლაინ შეხვედრა გაიმართა; სტრატეგიული სესიები გვიან ღამემდე გრძელდებოდა; ჩვენი ქსელის გაფართოების ფასდაუდებელ პროცესში ჩართულები გახლდნენ გამორჩეული ევროპელი პარტნიორები, რომლებიც ამ სფეროს წლების განმავლობაში იკვლევდნენ.

ამ თანამშრომლობის პროცესში დავუკავშირდით ინსტიტუტებს, რომლებმაც ჩვენს საქმიანობაში საკუთარი წვლილი შეიტანეს - მათ მნიშვნელოვანი პედაგოგიური ცოდნა და გამოცდილება შეგვძინეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია **დასავლეთ მაკედონიის უნივერსიტეტის** (საბერძნეთი) და **ლინცის ეპარქიის მასწავლებელთა განათლების კერძო საუნივერსიტეტო კოლეჯის** (ავსტრია) წვლილი.

ამ უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა ჩვენთვის ფასდაუდებელი გამოცდილება იყო. ისინი არიან მეცნიერები და განათლების სპეციალისტები, რომლებიც წლების განმავლობაში თავიანთ აკადემიურ სისტემებში მრავალგზის შემოწმებულ და

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

დახვეწილ ღირებულებებს იყენებდნენ. საქართველოს რეგიონული ხედვებისა და მათი ფართო ინსტიტუციური გამოცდილების სინთეზმა ძლიერი სინერგია შექმნა. თითოეული ონლაინ შეხვედრა ერთგვარ სამუშაო სემინარად იქცა, სადაც საერთაშორისო სტანდარტებს ადგილობრივ რეალობას ვადარებდით იმისთვის, რომ პროექტი PROVE მყარ ევროპულ ცოდნასა და გამოცდილებასაც დაფუძნებოდა და ჩვენი სკოლების კონკრეტულ საჭიროებებთან თანხვედრაშიც ყოფილიყო.

პროექტ PROVE მოქმედებაში: რას ვაკეთებთ

დღეს, წლების განმავლობაში გაწეული ერთობლივი ძალისხმევა - გვიან ღამემდე გაგრძელებული ონლაინ სესიები და საზღვრებს მიღმა შექმნილი ქსელი - იმ რეალობად იქცა, რომლითაც ძალიან ვამაყობთ. პროექტ **PROVE-ს** ოფიციალურად აფინანსებს ევროკავშირის **Erasmus+** პროგრამა. ის მხოლოდ საერთო ამბიცია აღარ არის; ის აქტიური, მაღალი ზეგავლენის მქონე ინიციატივაა, რომელსაც სამხრეთ კავკასიაში ძლიერი კონსორციუმი ახორციელებს.

საქართველოში პროექტში სამი წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა ჩართული: **კავკასიის უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.** იმის გათვალისწინებით, რომ პედაგოგიური გამოწვევები ეროვნული საზღვრებით არ შემოიფარგლება, პროექტი ერთგვარ რეგიონულ ხიდად იქცა. მასში ჩაერთო სომხეთის ორი ცნობილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: **ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (YSU)** და **ხაჩატურ აბოვიანის სახელობის სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი (ASPU)**.

ჩვენ ძირითად მისიას ამჟამად სამი მთავარი სტრატეგიული მიმართულებით ვახორციელებთ:

- **სამი სპეციალიზებული კურსის შექმნა:** სამი განსხვავებული კურსის მეშვეობით მყარ აკადემიურ ჩარჩოს ვქმნით. ერთი მათგანია VaKE მოდელის საბაზისო, უნივერსალური კურსი, დანარჩენი ორი კი ქვეყნების სპეციფიკაზე მორგებული, რომლებიც ითვალისწინებს საქართველოსა და სომხეთის განსხვავებულ საგანმანათლებლო რეალობასა და კულტურულ კონტექსტს.
- **კურიკულუმში ინტეგრაცია და პილოტირება:** ეს კურსები მხოლოდ ქაღალდზე არ არსებობს; მათი პილოტირება აქტიურად მიმდინარეობს. მდგრადი სისტემური ცვლილების უზრუნველსაყოფად ახალი მოდულების ნაწილი უშუალოდ არის

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

ინტეგრირებული არსებულ საუნივერსიტეტო კურიკულუმებში, რისი წყალობითაც ეს მიდგომა რეალურ საკლასო ოთახში მიღებული უკუკავშირის საფუძველზე უმჯობესდება და იხვეწება.

- **ახალგაზრდების გაძლიერება და რეგიონული ხიდების მშენებლობა:** ჩვენი საქმიანობის ცენტრში სტუდენტები არიან, რომლებიც ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ; ისინი ახლად შექმნილ მეთოდოლოგიას ადგილობრივი საზოგადოების წინაშე არსებულ პრობლემებზე მუშაობისას უშუალოდ იყენებენ. საქართველოსა და სომხეთის ახალგაზრდები მხარდამხარ საქმიანობენ, რითიც სამომავლო მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და რეგიონული თანამშრომლობის მყარ საფუძველს ქმნიან.

ამ ნიშნულზე კვლავ ყველაზე მნიშვნელოვანთან ვბრუნდებით - Erasmus+ პროგრამის უნიკალურ ფენომენთან. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რაოდენ მნიშველოვანია პროგრამა, რომელიც არა მხოლოდ მოკლევადიანი გრანტების შეთავაზებით შემოიფარგლება, არამედ ინსტიტუციური კავშირების უწყვეტობასაც უზრუნველყოფს. სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტებისთვის Erasmus+ მდგრადი, გრძელვადიანი განვითარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საყრდენია. ის ქმნის საჭირო ინფრასტრუქტურას იმისთვის, რომ 2016 წელს გაჩენილი შთაგონების ნაპერწკალი დღეს მყარ, ტრანსნაციონალურ რეალობად იქცეს.

VaKE ჩარჩოს მოკლე აღწერა

- Values and Knowledge Education (VaKE), ანუ ღირებულებებსა და ცოდნაზე დაფუძნებული განათლება, არის სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც კონკრეტული საგნის შინაარსს სტუდენტებს სტრუქტურირებული მორალური დილემების მეშვეობით აცნობს.
- ფაქტების უბრალო და მექანიკურად დამახსოვრების ნაცვლად, სტუდენტები მსჯელობენ ეთიკურ პოზიციებზე, რა დროსაც ხვდებიან, რომ თავიანთი მორალური მოსაზრებების დასაცავად მყარი აკადემიური ცოდნა სჭირდებათ.

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

ინდოქტრინაციისგან დაცვის მექანიზმი: გლობალური აუცილებლობა

VaKE მოდელის ნამდვილი ძალა მისი უნივერსალური ადაპტირებადობაა. მისი ინტეგრირება თითქმის ნებისმიერ საგანში შეიძლება. მასალასთან მუშაობის პროცესში მოსწავლეები ორმაგ შედეგს აღწევენ: ერთი მხრივ, ეუფლებიან საგნის ძირითად კომპეტენციებს, მეორე მხრივ კი, მორალური მსჯელობის უნარს ივითარებენ.

დღევანდელ არასტაბილურ სამყაროში, სადაც მშვიდობას, დემოკრატიასა და აზროვნების თავისუფლებას რეალური საფრთხე ემუქრება, განა დრო არ არის, ამ საკითხებს ის ყურადღება დავუთმოთ, რომელსაც ისინი იმსახურებენ? ნათელი და აშკარაა, რომ იდეოლოგიურმა ინდოქტრინაციამ შეიძლება მთლიანად განათლებისა და, შესაბამისად, თავად მსოფლიოს მომავალი შეცვალოს და დააზიანოს. ბოლოს და ბოლოს, ინდოქტრინაციის სამიზნე ხომ ყველაზე დაუცველი და ძვირფასი რამ არის - ახალგაზრდების გონება.

როდესაც განათლებას ხისტი მანიპულაციისგან ვიცავთ და მას ღირებულებებზე დაფუძნებული კრიტიკული კვლევისთვის ვხსნით, მოწაფეებს მხოლოდ გამოცდებისთვის არ ვამზადებთ; ჩვენ დემოკრატიული საზოგადოების დაცვის მექანიზმს ვაშენებთ. პროექტი PROVE ის წვლილია, რომელიც ჩვენ ამ გლობალურ საჭიროებაში შეგვაქვს - ეს არის განაცხადი, რომ სამხრეთ კავკასიაში ჩვენ ვირჩევთ დამოუკიდებელი, მყარი ეთიკური პრინციპების მქონე და თავისუფლად მოაზროვნე თაობების აღზრდას.

საკლასო ოთახის რეალობა: რატომ არის ეს ცვლილება რთული

როგორც ყოფილ სკოლის მასწავლებელს, კარგად მომეხსენება, რომ მორალური და ეთიკური განზომილებების საკლასო ოთახში შეტანა თეორიულად მარტივად ჟღერს, პრაქტიკაში კი საკმაოდ რთულია. როდესაც პედაგოგები ცდილობენ, საკლასო ოთახი პასიური მოსმენის სივრციდან ეთიკური კვლევის ცოცხალ ლაბორატორიად აქციონ, ისინი სისტემის მიერ აღმართულ ბარიერებს აწყდებიან.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მუშაობის მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, მე გამოვყოფ ოთხ მუდმივ გამოწვევას, რომლებიც მასწავლებლებს ტრადიციული სწავლების „უსაფრთხო ზონაში“ ამწყვდევს:

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

- **დროისა და ტესტის ზეწოლა:** სტანდარტიზებული კურიკულუმები ხშირად გადატვირთულია. მასწავლებლები ძლიერი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან და დიდი მოცულობის მასალის სრულად დაფარვას ცდილობენ. მთელი გაკვეთილის დათმობა ეთიკური დილემის განხილვისთვის ხშირად ისეთი ფუფუნებაა, რის უფლებასაც თავს ვერ აძლევენ. ისინი მცდარი და ამავე დროს სტრესული არჩევანის წინაშე დგანან - აკადემიური შედეგების მიღწევაზე იზრუნონ თუ ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაზე.
- **სადავოობის (კონტროვერსიის) შიში:** ნამდვილი ეთიკური დილემები თავისი არსით საკამათოა. ძლიერი პოლარიზაციის პირობებში მასწავლებლებს ხშირად ეშინიათ სკოლის ადმინისტრაციის, მშობლების შეშფოთების ან გარედან მომავალი იდეოლოგიური ზეწოლის. ძლიერი ინსტიტუციური მხარდაჭერის არარსებობის პირობებში მასწავლებლები გაცილებით უსაფრთხოდ თვლიან ასწავლონ ის, რაც მოხდა და გვერდი აუარონ იმ რთულ და არასასიამოვნო არჩევანების გაანალიზებას, რომლებიც ამა თუ იმ მოვლენის მიღმა იდგა.
- **პრაქტიკული ჩარჩოების ნაკლებობა:** ბევრ მასწავლებელს გულწრფელად სურს მოწაფეებს კრიტიკული აზროვნება განუვითარის, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ მიერ გავლილი ფორმალური მომზადება მათ შინაარსის გადამცემებად ამზადეს და არა ფილოსოფიური დისკუსიის ფასილიტატორებად. საკამათო თემის საკლასო ოთახში შეტანა ხშირად ან უმართავ კამათს იწვევს, ან უხერხულ დუმილს. მასწავლებლებს პროგნოზირებადი, ეტაპობრივი და პრაქტიკული გზამკვლევი სჭირდებათ.
- **შეფასების დილემა:** ტრადიციული განათლება ხშირად ბინარულ ლოგიკას ეყრდნობა - პასუხი ან სწორია, ან არასწორი. მაგრამ როგორ უნდა შეფასდეს მორალური პოზიცია? სტუდენტს ერთ ეთიკურ მოსაზრებაზე „A“-ს, მეორეზე კი „C“-ს ვერ დაუწერ. ამიტომ უნდა არსებობდეს დახვეწილი რუბრიკები, რომლებიც მოსაზრების ნაცვლად მსჯელობის ხარისხს შეაფასებს; შეფასების ხისტი სისტემის არსებობის პირობებში მასწავლებლებს ასეთი დავალებების შეფასება ძალიან უჭირთ.

სწორედ ამიტომ არის VaKE-ის მსგავსი ჩარჩოები ესოდენ მნიშვნელოვანი და სწორედ ამიტომ ამახვილებს Project PROVE განსაკუთრებულ ყურადღებას მასწავლებელთა სისტემურ მომზადებაზე. ალბათ ინსტიტუციური მხარდაჭერის გარეშე მასწავლებლები ამ რთულ განზომილებებს საკლასო ოთახში გაბედულად ვერ შეიტანენ; მათ ამისთვის დრო და დადასტურებულად ეფექტიანი ინსტრუმენტები სჭირდებათ. ამ მეთოდოლოგიების უნივერსიტეტებისა და მასწავლებელთა მომზადების კურიკულუმებში ჩართვით ჩვენ იმ ინფრასტრუქტურას ვაგებთ, რომელიც ამ ბარიერებს განვითარების საფეხურებად აქცევს.

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

მშვიდობის განათლება და ჩვენი საერთო ინტელექტუალური მემკვიდრეობა

საბოლოოდ, თავისი არსით, Project PROVE მშვიდობის განათლების მეთოდია. როდესაც VaKE მოდელს ხისტი დოგმების დასაშლელად ვიყენებთ და ახალგაზრდებს ვასწავლით, როგორ შეხედონ რთულ დილემებს სხვადასხვა ეთიკური პერსპექტივიდან, ჩვენ მშვიდობას ვაშენებთ. მშვიდობა მხოლოდ კონფლიქტის არარსებობას არ ნიშნავს; ეს არის დიალოგის, ემპათიისა და განსხვავებების გონივრული, მორალური განსჯით გადაჭრის უნარის ქონა.

ჩვენ ამ ხედვისკენ კაცობრიობის უდიდესი მოაზროვნეების მიერ გაკვალული გზით მივდივართ - მათ შორის ჩვენი ქართული ინტელექტუალური მემკვიდრეობის წარმომადგენლებისაც, რომლებიც განსაკუთრებულად უსვამდნენ ხაზს მშვიდობის, სიტყვის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი აზროვნების მნიშვნელობას.

ვაჟა-ფშაველამ, რომლის სიღრმისეული მოსაზრებებიც ეროვნულ საზღვრებს მნიშვნელოვნად სცდებოდა, შეგვახსენა, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი და თავისუფლებისკენ სწრაფვა ყოველთვის უნივერსალურ ადამიანურ ემპათიასთან და მსოფლიო მშვიდობისადმი ერთგულებასთან თანაარსებობს. მან ამაზე შესანიშნავად ილაპარაკა თავის წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“:

“განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.”

პროექტი PROVE ამ მარადიული ღირებულებების თანამედროვე სამხრეთკავკასიურ საკლასო ოთახში შეტანის შესაძლებლობას გვაძლევს, რითიც სწორედ ამ მეკვიდრეობას მივაგებთ პატივს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ როდესაც საქართველოსა და სომხეთის ახალგაზრდებს თავისუფლად აზროვნებას, ჭეშმარიტების დაფასებას და „სხვისი“ მორალური ღირსების პატივისცემას ვასწავლით, მათ მხოლოდ საუნივერსიტეტო საგანს არ ვთავაზობთ. ჩვენ ნიადაგში მდგრადი მშვიდობის ჯანსაღ თესლს ვაგდებთ იმისთვის, რომ ჩვენი საერთო მომავალი მხოლოდ ინდოქტრინაციის მყიფე საფუძვლებს არ დაეყრდნოს; ჩვენ ჩვენს მომავალს ურთიერთპატივისცემაზე, თავისუფალ აზროვნებსა და ეთიკური პასუხისმგებლობის ურყევ საყრდენებზე ვაგებთ.

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

გამოყენებული ლიტერატურა:

CCIIR. (2024, July 5). *განათლებისთვის: ღირებულებითი განათლება* [Video]. YouTube. https://www.youtube.com/watch?v=uI2g58LERhY

Patry, J.-L., Weinberger, A., & Weyringer, S. (Eds.). (2022). *The VaKE handbook: Theory and practice of values and knowledge education*. Brill. https://doi.org/10.1163/9789004515451

შავერდაშვილი, ე., & მოსიაშვილი, თ. (2018). *ცოდნა და ღირებულებითი განათლება: შესავალი*. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. https://www.researchgate.net/publication/332864073_tsodna_da_ghirebulebiti_ganatleba_shesavali_ekaterine_shaverdashvili_da_tamar_mosiashvili_ilias_sakhelmtsipo_universiteti_tbilisi_2018

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.